ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №6

ქ. თბილისი **21.06.2016**

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, საბჭოს მდივანი; (შემდგომში - მდივანი)
რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) აღმასრულებელი დირექტორი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;
ნინო კოდუა - სსიპ - ქალაქ თბილისის #55 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი;
ქეთევან ჭკუასელი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი;
ხათუნა ბარაბაძე - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ ზაალიშვილი - დირექტორის მოადგილე;
ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს უფროსი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

გვანცა მანია - შპს იუჯი სკოლის წარმომადგენელი;
ნატა სტურუა - შპს იუჯი სკოლის წარმომადგენელი;
არჩილ ჯანგირაშვილი - შპს იუჯი სკოლის წარმომადგენელი;
ჯონი მწარიაშვილი -შპს იუჯი სკოლის წარმომადგენელი;
დეკანოზი ბორის ნიჩიპეროვიჩი- ა(ა)იპ-ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორი;

თინათინ გვერდწითელი - ა(ა)იპ-ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე.
ემრელლაჰ დემირი - შპს სკოლა-ლიცეუმ სხივის დირექტორი;
ეკა ლომთათიძე - შპს სკოლა-ლიცეუმ სხივის დირექტორის მოადგილე;
ეკა ჩიქობავა - შპს სკოლა-ლიცეუმ სხივის დირექტორის მოადგილე;
ნუნუ ბეიტრიშვილი - სპს ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთეს დირექტორი;
ლევან ბეიტრიშვილი - სპს ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთეს აღმასრულებელი დირექტორი;
ირმა მეფარიძე - სპს ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთეს ხარისხის მენეჯერი.
სოფიო მართალიშვილი - შპს ფარნავაზის სწავლა-სწავლების ხარისხის მართვის ხელმძღვანელი;
დოდო კიკვიძე - შპს ფარნავაზის კოორდინატორი აღმზრდელობით დარგში.
ქეთევან გოშხეთელიანი - შპს განათლებას დირექტორი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

ნინო ფეტვიაშვილი;
თეა შაყულაშვილი;
ნელი ნასყიდაშვილი;
კახა ჟღენტი;
ქეთევან ბოტკოველი;
მაკა ტუკვაძე;
პაატა ჩორგოლაშვილი;
ნოდარ ანგურიძე;
მიხეილ ტეფნაძე.

სხვა დამსწრე პირები:
ლევან ბულაშვილი - შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სქულ ი. ა.ს - მოსწავლის მშობელი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:27 საათზე. თავმჯდომარისა და მოადგილის არყოფნის გამო, დამსწრეთა უმრავლესობით სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა რევაზ აფხაზავა.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე მიუთითა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სქულ ი.ა- ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს იუჯი სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3.ა(ა)იპ-ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.
4. შპს სკოლა-ლიცეუმ სხივის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სპს ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთეს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს ფარნავაზის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს განათლების ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ლაშა მარგიშვილმა, აღნიშნა, რომ 20 ივნისს ცენტრში შემოსული იყო შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიქან სქულ ი.ა.-ს წერილი (ცენტრში რეგისტრაციის №738774), რომლითაც დაწესებულების დირექტორი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ითხოვდა საკითხის შემდეგი სხდომისთვის გადადებას.

საბჭოს სხდომას ესწრებოდა აღნიშნული სკოლის მოსწავლის მშობელი, ლევან ბულაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ დირექტორს წინა დღეს შეხვდა და არანაირი ჯანმრთელობის პრობლემა არ ჰქონდა. მან აღნიშნა, რომ თვითონ იყო ცენტრში წარმოდგენილი საჩივრის ავტორი, რის საფუძველზეც, ჩატარდა მონიტორინგის ვიზიტი. მან განმარტა, რომ სკოლაში მთელი წლის განმავლობაში ირიცხებოდა ორი მოსწავლე, თანხა მშობლებს სკოლამ წინასწარ გადაახდევინა და ამავდროულად, მისი შვილი არ იყო რეგისტრირებული ბაზაში, რის გამოც პრობლემები შეექმნათ.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ საბჭოს გადაწყვეტილებით სკოლას ან შეუნარჩუნდებოდა ავტორიზაცია, ან გაუუქმდებოდა, თუმცა კონფლიქტურ სიტუაციას ვერ მოაგვარებდა სკოლასა და მშობელს შორის. ლევან ბულაშვილმა უპასუხა, რომ მას სურდა სკოლის საკითხის განხილვაზე დასწრება.

რევაზ აფხაზავამ განმარტა, რომ არსებული პრაქტიკით, საბჭო ითვალისწინებდა დაწესებულებების მხრიდან შემოტანილ წერილებს საკითხის გადადების შესახებ, მან აღნიშნა, რომ შემდეგ სხდომაზე ნებისმიერ შემთხვევაში განიხილავდნენ საკითხს, თუნდაც არ დასწრებოდნენ სკოლის წარმომადგენლები.

მშობელმა განაცხადა, რომ ბავშვი 3 ოქტომბერს გახდა 6 წლის და გამომდინარე იქიდან, რომ სკოლამ 15 ოქტომბერი გამოაცხადა სწავლის დაწყების თარიღად, ამიტომ არჩიეს არ დაეკარგათ წელი. ლევან ბულაშვილის თქმით, პრობლემას მას შემდეგ გადააწყდა, როდესაც შვილის საბუთები წარდგენა დასჭირდა საელჩოში, საელჩომ მოსთხოვა ცნობა რეგისტრაციის შესახებ და აღმოჩნდა, რომ ბავშვი არ იყო დარეგისტრირებული სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში. მშობელმა თხოვნით მიმართა სკოლის ადმინისტრაციას, დაერეგისტრირებინათ ბავშვი, თუმცა სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერავინ მოიცალა და მოახერხა ამ პრობლემის მოგვარება. მშობლის თქმით, სკოლაში საერთოდ არ მიმდინარეობდა საგანმანათლებლო პროცესი, არც მენეჯერი ჰყავდათ, არც

მზარეული, რამდენიმე მასწავლებელმა დატოვა სკოლა და ამის შემდეგ ბაგაბაღის მასწავლებლები გადმოიყვანეს სკოლის მასწავლებლებად. ხოლო როდესაც მან სკოლის წარმომადგენლებს სთხოვა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა, კვალიფიკაციაც შეუსაბამო აღმოჩნდა.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, როდის მიიღო სკოლამ ავტორიზაცია. ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ უპასუხა, რომ სკოლამ ავტორიზაცია გაიარა 2015 წლის 3 ივლისს. და აღნიშნა, რომ მაშინაც თვითონ იყო სკოლაში ექსპერტად და იმ დროისთვის დაკმაყოფილებული იყო სამივე სტანდარტი. მან დაამატა, რომ ამ ვიზიტზე ემისის მონაცემებით მოსწავლე უკვე ფიქსირდებოდა ბაზაში ასე რომ მობილობის პრობლემა არ შეექმნებოდა და მშობელს შეეძლებოდა მეორე კლასში გადაეყვანა ბავშვი.

ლევან ბულაშვილმა აღნიშნა, რომ ბავშვს ფაქტობრივად არ უვლია პირველი კლასის განმავლობაში და ვერ ექნებოდა ათვისებული პროგრამა, რაც საჭირო იქნებოდა მეორე კლასში სწავლის გასაგრძელებლად და ამის გამო, სთავაზობდნენ სკოლის წარმომადგენლები მოსწავლის პირველ კლასში ჩატოვებას. თან მისთვის გაუგებარი იყო ოქტომბერში დაწყებული სასწავლო პროცესის შემთხვევაში, რატომ შეიძლებოდა მოსწავლე აპრილში დაერეგისტრირებინა სკოლას.

მშობელმა 23 მარტს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროში დაწერა განცხადება, მას შემდეგ ემისში გადაამოწმა ბაზაში და მოსწავლე ჯერ კიდევ არ იყო დარეგისტრირებული.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ სკოლა საკუთარი კომპიუტერიდან არეგისტრირებდა მოსწავლეებს, შესაბამისად, შეეძლო რეგისტრაციის გატარება ნებისმიერ დროს. მისი მოსაზრებით, ვადების აცდენასთან დაკავშირებით მიწერილი იქნებოდა სამინისტროში და ამ საკითხზე დგებოდა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, რაც მშობელს შეეძლო გამოეთხოვა.

ხათუნა ბარაბაძემ ასევე დაამატა, რომ მშობელს შეეძლო გადაეყვანა ბავშვი, რადგან პირველ კლასში ისეთი დატვირთვა არ იყო, რომ მასწავლებლის სწორი მიდგომის გამოყენებით ვერ დაეძლია მეორე კლასის მასალა, მითუმეტეს, როდესაც ერთ სემესტრი გავლილი ჰქონდა.

მშობელი შიშობდა, რომ სკოლის წარმომადგენლები ამდენ დავაში დოკუმენტების გამოთხოვის პროცესს გაურთულებდნენ მოსწავლეს.

რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ ერთჯერადად გადაავადებდნენ საკითხის განხილვას, მშობელს კი რჩევით მიმართეს, მოეთხოვა ცნობა, რომ მოსწავლემ დახურა პირველი კლასი.

მშობლისთვის წარმოუდგენელი იყო თანხის წინასწარ გადახდა და ორი მოსწავლის არსებობა მთელ სკოლაში. მან აღნიშნა, რომ მისი აზრით სკოლის წარმომადგენლები არაკომპეტენტურებიც იყვნენ გარკვეულ საკითხებში. საბჭოს წევრებმა ლევან ბულაშვილს ურჩიეს, მიემართა რესურსცენტრისთვის.
საკითხის განხილვა გადაიდო შემდეგი სხდომისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის ახალი დღის წესრიგი:

1.შპს იუჯი სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2.ა(ა)იპ-ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

3.შპს სკოლა-ლიცეუმ სხივის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4.სპს ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთეს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5.შპს განათლების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6.შპს ფარნავაზის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის ახალი დღის წესრიგი.

1.შპს იუჯი სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა თეა შაყულაშვილმა და ნინო ფეტვიაშვილმა წარადგინეს. მათ აღნიშნეს, რომ სკოლას ჰქონდა ორი შენობა, თბილისსა და ბათუმში. ჯგუფმა შეისწავლა მატერიალური და ადამიანური რესურსი. საერთო ჯამში სკოლას დადგენილი ჰქონდა კონტინგენტი 400 მოსწავლის ოდენობით. ამჯერად, სკოლას სურვილი ჰქონდა მიეღო ახალი მოსწავლეები ორივე ფართზე. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ თბილისში მდებარე შენობის ფართი შეადგენდა 3626 კვ. მ-ს, ბათუმში კი 1232 კვ.მ-ს. თბილისის ფართში 30 მდე საკლასო ოთახი და 445 მერხი იყო, 135 მერხზე კი შეკვეთა იყო მიცემული. ბათუმში 232 მერხი სკამი, საიდანაც 175 იყო დასაწყობებული, დანარჩენი განთავსებული. ლაბორატორია იყო ორივეგან, ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის შესაბამისი ინვენტარით. ასევე წესრიგში იყო ბიბლიოთეკა. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

დაწესებულების წარმომადგენლება აღნიშნეს, რომ 700 მოსწავლის მიღება სურდათ. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ რესურსები იძლეოდა ამის საშუალებას.

ლაშა მარგიშვილმა განმარტა, რომ სკოლას წინა ავტორიზაცია მინიჭებული ჰქონდა 2011 წელს, როდესაც ფართი მხოლოდ თბილისში ჰქონდა, შესაბამისად, ამჯერად საჭირო იქნებოდა კონტინგენტის ცალ-ცალკე განსაზღვრა როგორც ბათუმის, ასევე თბილისის ფილიალის შემთხვევაში. ლაშა მარგიშვილმა დაამატა, რომ 2011 წელს საბჭოს გადაწყვეტილებით, 400 მოსწავლიდან 60 პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი რაოდენობა იყო. ანუ, გამოდიოდა, რომ სკოლის კონტინგენტი ამჟამად შეადგენდა 340 მოსწავლეს.

რევაზ აფხაზავამ წარმომადგენლებს ჰკითხა, როგორ სურდათ განსაზღვრულიყო კონტინგენტი ამ ფართებზე.

სკოლის წარმომადგენლება განაცხადეს, რომ ჯამში 812 მოსწავლით სურდათ კონტინგენტის განსაზღვრა, მათ შორის თბილისში 580-ით, ბათუმში კი 232-ით. პროფესიული სტუდენტების რაოდენობა კი გამოიყოფოდა თბილისის 580 მოსწავლიდან. სკოლის წარმომადგენლებმა დაამატეს, რომ პროფესიული პროგრამები არ განხორციელებულა და მალე სკოლას ავტორიზაცია უწევდა, და შემდეგ განაცხადში დაფიქსირდებოდა პროფესიული სწავლების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს იუჯი სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 812-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს იუჯი სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 205258344) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს ქ. თბილისში 520-ით და ქ. ბათუმში 232-ით.

2. ა(ა)იპ - ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ ახსოვდათ წინა სხდომაზე დაფიქსირებული შენიშვნები, რაც ეხებოდა ექიმისა და პანდუსის საკითხებს და აინტერესებდათ თუ გამოსწორდა ეს უზუსტობები. ექსპერტებმა დაადასტურეს რომ ამ ეტაპზე ხარვეზები გამოსწორებული იყო.

რევაზ დაინტერესდა მოთხოვნილი კვოტის რაოდენობით. დირექტორმა აღნიშნა, რომ სურდათ მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განსაზღვროდათ 600-ით. ექსპერტებმა დაადასტურეს ამ კვოტისთვის არსებული რესურსების შესაბამისობა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ-ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 331 მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 218082848) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით.

3. შპს სკოლა-ლიცეუმ სხივის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფს წარმოადგენდნენ ნელი ნასყიდაშვილი და კახა ჟღენტი. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სკოლას სურდა სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება არსებული მდგომარეობა აკმაყოფილებდა სტანდარტებს. ერთადერთი შენიშვნა ექსპერტებს ჰქონდათ შეფასების კუთხით. მათ აღნიშნეს, რომ დოკუმენტურად გაფორმებული შეფასების სისტემა შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას, მაგრამ გასაუბრებით დასტურდებოდა, რომ დაწყებით კლასებში ხდებოდა მოსწავლის ქულებით შეფასება. თუმცა სკოლის წარმომადგენლები თვითონაც იზიარებდნენ ამ გარემოებას.

საბჭოს წევრი, ქეთევან ჭკუასელი, დაინტერესდა დაბალ შეფასებას, მაგალითად, 2-3 ქულას თუ უწერდნენ მასწავლებლები მოსწავლეებს. სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ არ წერდნენ დაბალ შეფასებებს.

ექსპერტმა, კახა ჟღენტმა განაცხადა, რომ სკოლას სხვა მხრივ ყველაფერი წესრიგში ჰქონდა და ქულებით შეფასება დაწყებით კლასებში წარმოადგენდა საერთო მახასიათებელს, რადგან მშობლებისგან მოდიოდა შეფასების მოთხოვნა და ბევრი სკოლა ითვალისწინებდა.

ექსპერტმა ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ მათ განუმარტეს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა, მან განაცხადა რომ დოკუმენტურად სწორად გაფორმება არ იყო ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი, თვითონ განმსაზღვრელი ქულებით შეფასება ახდენდა გავლენას მოსწავლეებზე და ამოსავალი წერტილი ეს უნდა ყოფილიყო მასწავლებლისთვის.

რევაზ აფხაზავა დაეთანხმა ექსპერტს და აღნიშნა, რომ არ ჰქონდა მნიშვნელობა ჟურნალში დაფიქსირდებოდა განმსაზღვრელი შეფასება თუ რვეულში, მოსწავლისთვის შეფასების ზეგავლენა ერთიდაიგივე იყო.

სკოლამ აღნიშნული უზუსტობა მშობლების მოთხოვნით ახსნა, რაზეც საბჭოს წევრებმა განმარტეს, რომ უნდა მომხდარიყო მშობლებთან მუშაობა, მათთვის განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობის განმარტება და მათ მოთხოვნებზე უზენაესი მოსწავლის საჭიროებები უნდა ყოფილიყო.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ რა რაოდენობის მოსწავლის მიღებას გეგმავდა სკოლა. დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ სურდათ კონტინგენტის 500 მოსწავლით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა-ლიცეუმ სხივისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს სკოლა-ლიცეუმ სხივს (საიდენტიფიკაციო კოდი: 205257407) 2016 წლის 28 ივლისიდან 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 506-ით.

15:42 საათზე სხდომაზე შესვენება გამოცხადდა.
სხდომა განახლდა 15:58 საათზე.

4. **სპს ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთეს ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფს წარმოადგენდნენ ნინო ფეტვიაშვილი და პაატა ჩორგოლაშვილი. ნინო ფეტვიაშვილმა განაცხადა, რომ 2011 წელს, წინა ავტორიზაციის დროსაც ის იმყოფებოდა ექსპერტის სტატუსით სკოლაში. მან აღნიშნა, რომ სკოლა ბევრად იყო წინ წასული ამ პერიოდში, ჰქონდა უფრო საინტერესო პროგრამები, გარემონტებული შენობა და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა. ექსეპერტებმა აღნიშნეს, რომ დასკვნაში ხარვეზები არ დაუფიქსირებიათ, მხოლოდ ორი რეკომენდაცია ჰქონდათ: შემაჯამებელი დავალების ანალიზთან მიმართებაში უფრო კონკრეტულად გაეწერათ პრობლემები და შედეგები და ასევე საკლუბო მუშაობა კარგი იქნებოდა მეტად გააქტიურებულიყო და გაეთვალისწინებინა მოსწავლეების ინტერესები.

ექსპერტების თქმით, სკოლის მფლობელობაში იყო 950 ინდ. მერხი და 46 კომპიუტერი. ჰყავდათ 79 მასწავლებელი, საიდანაც 39 იყო უფროსი და სკოლას კარგი შედეგები ჰქონდა ოლიმპიადებზე.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ ამჟამად რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა სკოლაში. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 722 მოსწავლე სწავლობდა.

ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ ლეპტოპების რაოდენობის მიხედვით კონტინგენტის მაქსიმალური ზღვარი 920-ით შეიძლებოდა განსაზღვრულიყო. მან კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს ბუკები თუ შეიძინეს. მან უპასუხა, რომ ბუკები ჰქონდათ, თუმცა აღნიშნული გარემოება ვერ იქნებოდა გათვალისწინებული მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის დროს.

ლაშა მარგიშვილმა დაადასტურა, რომ ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული იყო რეკომენდაციები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, სადაც პირდაპირ ეწერა, რომ ნეთბუქი არ ითვლებოდა კომპიუტერების რაოდენობაში მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრისას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთესთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 920-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სპს ნუნუ ბეიტრიშვილ პრომეთეს (საიდენტიფიკაციო კოდი: 209463659) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 920-ით.

5. შპს განათლების ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ პირველ ავტორიზაციაზე ის იმყოფებოდა და გამოსწორებული ჰქონდათ ადრე არსებული შენიშვნები.

ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ ცენტრის მიდგომა იყო, ექსპერტთა ჯგუფის ერთი წევრი მაინც ყოფილიყო წინა ავტორიზაციაზე ნამყოფი, რათა უკეთ შეეფასებინა ცვლილებები ამ პერიოდში რაც სკოლებში განხორციელდა.

ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა მშობლებს, მოსწავლეებს და აღფრთოვანება გამოთქვა იმით, რომ სკოლა რეალურად იყენებდა დაწყებით კლასებში განმავითარებელ შეფასებებს და არც ქულებსა და არანაირ სიმბოლოებს არ უწერდნენ დაწყებითი კლასის მოსწავლეებს. ექსპერტის თქმით, ინტერვიუირებით დადგინდა, რომ განმავითარებელ შეფასებას ეფექტურად იყენებდნენ მასწავლებლები - ფერად სტიკერებს უკრავდნენ რვეულებში მოსწავლეებს შესაბამისი კომენტარებით.

ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა კლასში მაქსიმუმ რამდენი ბავშვი სწავლობდა. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 12-14 მოსწავლით განისაზღვრებოდა კლასში ბავშვების რაოდენობა.

საბჭოს წევრებმა დადებითად შეაფასეს ამგვარი პრაქტიკა და აღნიშნეს, რომ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო განმავითარებელი შეფასებების ამგვარი გამოყენება.

ნელი ნასყიდაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ სიტუაციური ანალიზი, რაც სკოლის დირექტორის თქმით, შიდა სამუშაო დოკუმენტი იყო და არ აპირებდა ექსპერტებისთვის ჩვენებას, წარმოადგენდა ყველაზე ღირებულ დოკუმენტს, რადგან ჩანდა, რომ SWOT ანალიზი ჰქონდათ ჩატარებული, რაც მეტყველებდა ხარისხის განვითარებაზე. ექსპერტმა დაამატა, რომ პრაქტიკაში სკოლებში ხვდებოდათ შაბლონებივით მსგავსი დოკუმენტები და ის, რომ აღნიშნულმა სკოლამ ინდივიდუალური, განსხვავებული დოკუმენტაცია წარმოადგინა, ექსპერტმა დადებითად შეაფასა.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ რამდენი მოსწავლით სურდა სკოლას კონტინგენტის განსაზღვრა. დირექტორმა უპასუხა, რომ 271 მერხი ჰქონდათ და შესაბამისად, მოსწავლეების რაოდენობაც 271-ით სურდა განსაზღვრულიყო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს განათლებისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 271-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს განათლებას (საიდენტიფიკაციო კოდი: 245436568) 2016 წლის 11 ივლისიდან 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 271-ით.

16:21 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 16:40 საათზე.

6. შპს ფარნავაზის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ქეთევან ბოტკოველმა წარადგინა. მან აღნიშნა, რომ წინა ავტორიზაციიდან მოყოლებული სკოლა აშკარად განვითარების გზაზე იდგა, ჰქონდათ ახალი შენობა, კარგი სასკოლო გეგმა, ჰყავდა გადამზადებული მასწავლებლები, რომელსაც სკოლა აფინანსებდა.

ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა იყო თუ არა სკოლა მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართული. ექსპერტმა აღნიშნულ შეკითხვაზე დადებითად უპასუხა. დაწესებულებას ჰყავდა 7 სერტიფიცირებული მასწავლებელი. მან აღნიშნა, რომ 5 წლის წინ, ავტორიზაციაზე თვითონ იმყოფებოდა ვიზიტზე და პროგრესი სახეზე იყო, რაც ინტერვიუირებამ დაადასტურა. ექსპერტებს ხარვეზი არ დაუფიქსირებიათ და შენიშვნები არ ჰქონიათ.

ხათუნა ბარაბაძემ სკოლის წარმომადგენლებს რეკომენდაციით მიმართა, გაეთვალისწინებინა სქემის მოთხოვნები მომავალში, რადგან ამ წელს უკვე სკოლები დგებოდნენ განსხვავებული სიტუაციის წინაშე, მათ დასჭირდებოდათ ახალი კადრები და მხოლოდ გამოცდილების მქონე პედაგოგებს ვერ აიყვანდნენ, ახალი მოთხოვნებით, საჭირო იქნებოდა გამოცდაჩაბარებული ან სერტიფიცირებული მასწავლებლების აყვანა.

ხათუნა ბარაბაძემ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, რომ ვიზიტებზე ექსპერტებს გაემახვილებინათ ყურადღება რამდენად იქნებოდა გათვალისწინებული აღნიშნული მოთხოვნები სკოლებში.

ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ მოსწავლეებთან გასაუბრებითაც ჩანდა, რომ მოსწავლეები თავისუფლად საუბრობდნენ, არ ეშინოდათ საკუთარი აზრის გამოთქმის.

სკოლას საერთო ჯამში ჰქონდა 253 მერხი, მათგან 42 დასაწყობებული და 15 შეკვეთილი და ითხოვდნენ კონტინგენტის 253-ით განსაზღვრას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ფარნავაზისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 253-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ფარნავაზს (საიდენტიფიკაციო კოდი: 246952427) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 253-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 15:07 საათზე საბჭოს სხოდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
რევაზ აფხაზავა

მდივანი
თამარ ფხალაძე